

## ენერჯის განახლებადი წყაროები (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

### Question 1

ენერჯის სახეებია?

Select one:

- a. ქიმიური, მექანიკური, ელექტრული, ბირთვული.
- b. ქვანახშირი, შემა.
- c. ბუნებრივი აირი.
- d. ნავთობი.

### Question 2

რას უდრის 1 BTU?

Select one:

- a. 735 ვტ.
- b. 4,186 ჯ.
- c. 1055 ჯ.
- d. 1055 ვტ.

### Question 3

მზის შემადგენელი ძირითადი ელემენტებია:

Select one:

- a. წყალბადი ( $\approx 80\%$ ) და ჰელიუმი ( $\approx 20\%$ ).
- b. წყალბადი ( $\approx 20\%$ ) და ჰელიუმი ( $\approx 80\%$ ).
- c. ჟანგბადი ( $\approx 70\%$ ) და ჰელიუმი ( $\approx 30\%$ ).
- d. აზოტი ( $\approx 79\%$ ) და ჟანგბადი ( $\approx 21\%$ ).

### Question 4

მზის კოლექტორებში  $\eta_0 = K(\tau\alpha)_n$  მქც-ს მნიშვნელობა დამოკიდებულია:

Select one:

- a. მინის საფარის თბურ მახასიათებლებზე.
- b. მინის საფარის მექანიკურ მახასიათებლებზე.
- c. აბსორბირებადი ზედაპირისა და მინის საფარის ოპტიკურ მახასიათებლებზე.
- d. აბსორბირებადი ზედაპირის თბურ მახასიათებლებზე.

### Question 5

რა არის ქარის ენერჯის პირველადი წყარო?

Select one:

- a. დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის ენერგია.
- b. ამინდის ცვალებადობით გამოწვეული ჰაერის მასების გადაადგილების ენერგია.
- c. დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის ენერგია.
- d. მზის გამოსხივების ენერგია.

#### Question 6

რა ტიპის და რა სიმძლავრის ქარის ტურბინებია დამონტაჟებული საქართველოში აშენებულ პირველ ქარის ელექტროსადგურში „ქართლი-1“?

Select one:

- a. ქარის ბორბლისა და კარუსელური ტიპის ქარის ტურბინები თითოეული 4მვტ სიმძლავრით.
- b. კარუსელური ტიპის 2მვტ-იანი ქარის ტურბინები.
- c. ჰორიზონტალურღერძიანი 3,45მვტ სიმძლავრის ქარის ტურბინები.
- d. ვერტიკალურღერძიანი 20მვტ სიმძლავრის ქარის ტურბინები.

#### Question 7

დედამიწის ქერქის ჩაღრმავებას, სადაც ტემპერატურა იზრდება  $1^{\circ}\text{C}$ -ით ეწოდება:

Select one:

- a. გეოლოგიური საფეხური.
- b. ჰიდროთერმული საფეხური.
- c. ჰიპერთერმული საფეხური.
- d. გეოთერმული საფეხური.

#### Question 8

თუ გეოთერმული წყლების ტემპერატურა  $85^{\circ}\text{C}$ -ია და მინერალიზაცია 16 გრ/ლ, შეიცავს ნახშირორჟანგს, მაშინ ასეთი გეოთერმული წყლები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც:

Select one:

- a. სუსტადმინერალიზებული, მაღალთერმული და ნეიტრალური წყლები.
- b. ძლიერმინერალიზებული, მაღალთერმული და აგრესიული წყლები.
- c. მინერალიზებული, თერმული და ნეიტრალური წყლები.
- d. ძლიერმინერალიზებული, თერმული და აგრესიული წყლები.

#### Question 9

ჩამოთვლილთაგან რომელია ბიომასის საფუძველი?

Select one:

- a. ნახშირბადის ორგანული ნაერთები.

- b. ტუტე-მჟავური ნაერთები.
- c. არაორგანული ცილოვანი ნაერთები.
- d. ჰალოგენები.

#### Question 10

ბიოგაზის დანადგარში რა დანიშნულება აქვს გაზგოლდერს?

Select one:

- a. ბიომასის გაზიფიცირება.
- b. ბიომასის დეგაზაცია.
- c. გამომუშავებული ბიოგაზის შეგროვება გარკვეული ჭარბი წნევით.
- d. გამომუშავებული ბიოგაზის შეგროვება ნაწილობრივი გაიშვიათებით.

#### Question 11

ზღვებისა და ოკეანეების ენერგიებიდან რომელია მიჩნეული უფრო პერსპექტიულად, მათი ელექტროენერჯის საწარმოებლად გამოყენების თვალსაზრისით?

Select one:

- a. მარილიანობის გრადიენტების.
- b. მიმოქცევითი, ტალღების და თბური გრადიენტების.
- c. შტორმების.
- d. საოკეანო დინებების.

#### Question 12

რა გამოიყენება საოკეანო თბოელექტროსადგურებში ნამუშევარი ორთქლის კონდენსაციისათვის?

Select one:

- a. ჰაერი.
- b. ზღვის სიღმისეული ფენების წყალი ტემპერატურით 5°C-მდე.
- c. ფრეონი.
- d. ზღვის ზედაპირული ფენების წყალი ტემპერატურით 25÷30°C-მდე.

#### Question 13

დაახლოებით რამდენია წყალბადის პროცენტული შემადგენლობა მტკნარ წყალში?

Select one:

- a. 80%
- b. 20%
- c. 88,8%.

d. 11,2%.

#### Question 14

წყლის ელექტროლიზის პროცესში სად გამოიყოფა ჟანგბადი?

Select one:

- a. კათოდზე.
- b. ელექტროლიტში.
- c. ჰერში.
- d. ანოდზე.

#### Question 15

ტემპერატურის რა მნიშვნელობისთვის ჩაითვლება ენერჯის წყარო დაბალპოტენციურად?

Select one:

- a. 100°C-მდე.
- b. 0÷100°C
- c. 45°C-მდე.
- d. 100÷500°C.

#### Question 16

თბური ტუმბოს დანადგარში რა დანიშნულება აქვს დროსელს?

Select one:

- a. სითბოს მიწოდება მომხმარებლისთვის.
- b. მუშა სხეულის თბური პოტენციალის ამაღლება.
- c. მუშა სხეულის თბური პარამეტრების საწყის მნიშვნელობამდე შემცირება .
- d. სითბოს ართმევა დაბალპოტენციური წყაროდან.

#### Question 17

რაზეა დამყარებული მჰდ გენერატორის მოქმედების პრინციპი?

Select one:

- a. ფარადეის კანონზე.
- b. ჯოულ-ლენცის კანონზე.
- c. კირხოფის კანონზე.
- d. ომის კანონზე.

#### Question 18

თერმობირთვული სინთეზის დროს წარმოიქმნება:

Select one:

- a. ლითიუმის იზოტოპების ნარევი.
- b. ჰელიუმის 4 ბირთვი და ნეიტრონი.
- c. ძლიერი მაგნიტური ველი.
- d. დეიტერიუმის და ტრიტიუმის - წყალბადის იზოტოპები.

### Question 19

რა არის ენერჯის აკუმულატორების დანიშნულება?

Select one:

- a. ენერგომომარაგების სისტემის საიმედო და მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფა.
- b. ენერგოსისტემაში დადგმული სიმძლავრეების შემცირება.
- c. ენერგოსისტემის განტვირთვა.
- d. ენერგომომარაგების სქემების გამარტივება.

### Question 20

ენერგოდაზოგვის მიზნით განხორციელებული ტექნოლოგიური ღონისძიებები:

Select one:

- a. გრძელვადიანია, მაგრამ მოითხოვს მცირე ინვესტიციებს.
- b. საშუალოვადიანია და მოითხოვს შედარებით მცირე ან მნიშვნელოვან ინვესტიციებს.
- c. მოკლევადიანია და რიგ შემთხვევებში საერთოდ არ მოითხოვს ინვესტიციებს.
- d. გრძელვადიანია და მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს.